

წრფივი შეუღლების სასაზღვრო ამოცანა კარლემან-ვეკუას არარეგულარული არაერთგვაროვანი განტოლებისათვის

ვალერიან ჯიქია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
valerian.jikia@gmail.com

გამოკვლეულია წრფივი სასაზღვრო ამოცანა კარლემან-ვეკუას არარეგულარული არაერთგვაროვანი განტოლებისათვის, რომელიც წარმოადგენს ამ ტიპის ამოცანის განზოგადობას ერთგვაროვანი განტოლებისათვის. ამ განტოლების კოეფიციენტები ეკუთვნის საკმარისად ფართო ფუნქციათა კლასებს. დადგენილია ამ ამოცანის ზოგადი ამონახსნის ფორმულა და ამოხსნადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.